

საქართველოს კანონი

**„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე”**

მუხლი 1. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №14,(21) 1999 წელი, მუხლი 61)

შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. კანონის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1“ პუნქტი:

„1. პროკურორს უფლება აქვს მოტივირებული დადგენილებით მოახდინოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების და მასალების განსაიდუმლოება, მათი მტკიცებულებების სახით გამოყენების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტების და მასალების განსაიდუმლოება არ ხელყოფს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი